საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 22 0000152095

15/02/2022

შპს - ევროპის უნივერსიტეტის"ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4 აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 2021 წლის 11 ნოემბრის № 1214244 წერილით წარმოდგენილ იქნა შპს - ევროპის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის № 1239398 ბრძანების საფუძველზე, შპს ევროპის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 1 დეკემბრის № 1299313 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი რომელმაც 2021 წლის 17 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს- ევროპის უნივერსიტეტში, ხოლო 2022 წლის 26 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 8 თებერვალს, სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე

აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2022 წლის 15 თებერვლის №152061 სხდომის ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნაწილობრივ გაიზიარადა განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

4.1 რეკომენდირებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური მიმართება და ასევე დახვეწას ექვემდებარება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განვითარების ლოგიკა;

4.2 რეკომენდირებულია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;

4.3 რეკომენდირებულია საბაკალავრო პროექტის შესრულების მონიტორინგის გაძლიერება, იმისათვის რათა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით;

4.4 ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია: სასწავლო კურსს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ამოცანების გადაწყვეტას Excel-ის გამოყენებით, ასევე დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „სტატისტიკა ტურიზმში“ სილაბუსი და მასში აისახოს Excel-ის სწავლება სპეციფიკის გათვალისწინებით;

4.5 რეკომენდირებული, საბაკალავრო ნაშრომებში აისახოს რელევანტური კვლევის მეთოდები;

რჩევები:

1. სასურველია უსდ-მ დააზუსტოს პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა;
2. სასურველია უფრო მეტი საბიბლიოთეკო რესურსი გაციფრულდეს, მოცემული პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით და ასევე მნიშვნელოვანია სამომავლოდ დამატებითი პერსონალური კომპიუტერებით აღიჭურვოს აღნიშნული სივრცე;
3. სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში;
4. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონული პორტალის ფუნქციონირებას, უზრუნველყოს მისი მუდმივი მხარდაჭერა და განახლება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 8 თებერვალს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. №76, თბილისი, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	08.02.2022
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	08.02.2026